

კომუნიკაცია

თქვენი ბავშვი უკვე ბევრ ბგერებს გამოსცემს. უყვარს მარცვლებით თამაში „ბა-ბა-ბა“. უკვე ხვდება, რომ ზოგი მარცვლი განსაკუთრებულ ადამიანს აღნიშნავს, მაგალითად „დედა“ და „მამა“. ის უკვე გეზულობს ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობას და მალე შეძლებს ნაცნობი ადამიანის ან საგნის დასახელებას.

მითითების შესრულება	ასწავლეთ თქვენს პატარას მარტივი მითითებების გაგება და შესრულება. მიეცით მარტივი დავალება: „მაჩვენე, სად არის ბებია“, „მომეცი ხელი“, „დაიჭირე შენი საფენი“. როდესაც ის შეასრულებს თქვენს დავალებას, აგრძობინეთ, რომ თქვენ ეს შეამჩნიეთ: „ოო, აქ ყოფილა ბებია“, ან „მადლობა, რომ საფენი დაიჭირე“.
მაღაზიაში	როდესაც სურსათის მაღაზიაში ხართ, ესაუბრეთ ბავშვს იმაზე, რასაც ხედავთ. დააჭერინეთ ხელში პატარა ყუთი ან ხილი. მაღაზიის წარწერებზე მიუთითეთ თითოთ და წაუკითხეთ: „აქ წერია ვაშლი, მოდი რამდენიმე წითელი ვაშლი ავიღოთ.“
ტელეფონით თამაში	ესაუბრეთ თქვენს ბავშვს სათამაშო ან ძველი მობილური ტელეფონით. სანამ ბავშვს მისცემთ, დარწმუნდით, რომ ტელეფონს ბატარეა ამოცლილი აქვს. უმჯობესია თუ თქვენ ორი ტელეფონი გექნებათ, მაშინ ერთმანეთთან „ისაუბრებთ“. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა თქვენი ბავშვი მხოლოდ ბგერებს გამოსცემდეს ან „გისმენდეთ“, მას აუცილებლად მოეწონება დიდი ადამიანივით საუბარი.
ვალსი ძილის წინ	დაძინების წინ ჩაიხუტეთ თქვენი ბავშვი და წყნარი მუსიკის ფონზე ერთად იცეკვეთ. თქვენმა პატარამ მთელი დღე „შრომაში“ გაატარა და ახლა ეკუთვნის გულში ჩაკვრა. ეს პროცესი ბავშვს სიახლოვის შეგრძნებას ჩამოუყალიბებს.
მხოლოდ ჩემი ხმა	როდესაც ბავშვს ღვიძავს, გამორთეთ ტელევიზორი და სხვა ყველანაირი ხმოვანი მოწყობილობა სახლში, რომ მან მხოლოდ თქვენი ხმა გაიგონოს. ასე ბავშვი სიტყვებს უფრო მკაფიოდ გაიგებს. წაუღიღინეთ და უმღერეთ ის, რაც მას ესიამოვნება. შეეკითხეთ: „გესმის ჩიტის ხმა? გესმის წვიმის ხმა?“
ბავშვის ტიტინი	როდესაც ბავშვი გამოთქვამს ბგერებს, მაგალითად „ბა“, თქვენც გაიმეორეთ იგივე „ბა-ბა-ბა“. მას მოეწონება ბგერებით თამაში და თქვენთან „საუბარი“.
აპლოდისმენ ტები	როდესაც ბავშვი რაიმე ახალს ან მხიარულს გააკეთებს, ტაში დაუკარით და შეაქეთ. მას მოეწონება თქვენი ყურადღება და ეცდება თვითონაც დაუკრას ტაში.
წაკითხვა	წაუკითხეთ თქვენს პატარას ყოველ დღე. ხელით მიუთითეთ წიგნში არსებულ ნახატზე ან სთხოვეთ მოძებნოს: „სად არის კატა? სად არის ძაღლი?“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

მსხვილი მოტორიკა

ეს ბავშვისთვის ძალიან აქტიური პერიოდია. მას უკვე შეუძლია ავეჯზე აძრომა, უკვე დაცოცავს და დახობავს ისეთ ადგილებში, სადაც ეს ადრე არ შეეძლო და ემზადება სიარულისთვის. ფაქტიურად მას უკვე შეუძლია ხელის მოკიდებით გაიაროს და რამდენიმე ნაბიჯი დამოუკიდებლადც გადადგას. თქვენი ბავშვი დადის!

ყულაბა

დააგროვეთ ქილის თავსახურები და გამოიყენეთ ფულის მაგივრად. ახლა უკვე როდესაც თქვენს ბავშვს დამოუკიდებლად ჯდომა შეუძლია, მიეცით რაიმე ჭურჭელი, რომ ეს მრგვალი თავსახურები ჩაყაროს. შემდეგ შეანჯღრიეთ და აახმაურეთ ეს ყუთი. გადმოყარეთ და ისევ ჩაადებინეთ „ფული“ ყულაბაში.

ფეხების ქნევა

საფეხების გამოცვლის ან დამინების წინ ითამაშეთ ასეთი თამაში. ბავშვის ფეხების ქნევას ააყოლებთ რაიმე მელოდია. როდესაც ის ფეხების ქნევას შეწყვეტს, თქვენც შეწყვიტეთ სიმღერა. როგორც კი გააგრძელებს ქნევას, თქვენც აყევით სიმღერით. ეს გადავა გასართობ დაწყება-გაჩერების თამაშში. ამით თქვენი ბავშვი არა მხოლოდ კუნთებს გაავარჯიშებს, არამედ უფროსობასაც ისწავლის 😊

მიწვდომა

თუ თქვენ ბავშვს უკვე შეუძლია ასადგომად წამოწევა, დაულაგეთ თავისი საყვარელი სათამაშოები დაბალ მაგიდაზე ისე, რომ მისაწვდენად წამოწევა დასჭირდეს. ამით ის მიწვდომასა და წონასწორობაში გაივარჯიშებს. ასევე, მას შეეძლება წარმოდგენა საგნების ახლოსა და შორს მდებარეობის შესახებ.

წვიმა აბაზანაში

პლასტმასის პატარა ჭურჭლის ფსკერი დაჩხვლიტეთ და ბანაობის დროს ბავშვს ააავსებინეთ ის წყლით. მაღლა ააწევინეთ ისე, რომ წყალი წვიმასავით წამოვიდეს.

სიარულში ვარჯიში

როგორც კი ბავშვი სიარულს დაიწყებს, მას უკვე უნდა, რომ ამაში ბევრი ივარჯიშოს. აჩვენეთ, როგორ უნდა მოეჭიდოს მსუბუქ, მაგრამ მყარ სკამს ან მაგიდას და მიაწვეს, რომ ატაროს ოთახში. ამავე მიზნით შეგიძლიათ მისცეთ სათამაშოებიანი ყუთი.

გვირაბში გასვლა

მაგიდაზე გადააფარეთ დიდი პირსახოცი ან ორი სკამის ზურგზე გადააფარეთ ზეწარი და შექმენით პატარას გვირაბი. როდესაც თქვენი პატარა შეძვრება ამ გვირაბში, დაუძახეთ. როდესაც იპოვით, გაკვირვებით შესძახეთ: „უი, აქ ყოფილხარ!“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

ნატიფი მოტორიკა

თქვენმა ბავშვმა უკვე დაიწყო საჭმლის პატარა ნაჭრების აღება ცერა და საჩვენებელი თითის გამოყენებით. მას უკვე შეუძლია ნივთების ყუთიდან ამოღება (კოვზის ამოღება პლასტმასის ყუთიდან) და შეუძლია ორი სათამაშო ერთმანეთზე აკაკუნოს. თუ თქვენ მას ფერად ფანქარსა და ფურცელს მისცემთ, ეცდება მოგბამოთ და რაიმე დაჯღაპნოს.

ხელით შეგრძნება

მუყაოს ყუთში ჩაყარეთ ისეთი ნივთები, რომლებსაც ხელში კარგად დაიჭერს, კარგად შეიგრნობს და ერთმანეთს დაუკაკუნებს. უმჯობესია ეს ნივთები იყოს პლასტმასის პატარა ბოთლი, კბილების სახეხი ჯაგრისი და პატარა ფეხსაცმელი. ამოაღებინეთ ბავშვს ნივთი ყუთიდან და ესაუბრეთ ამ საგანზე. ეს თამაში ავითარებს ხელის პატარა კუნთებს და ბავშვი სწავლობს სხვადასხვა ნივთის განსხვავებულ შეგრძნებას ხელში.

ფეხების მოძებნა

როდესაც თქვენ ზიხართ ბავშვთან ერთად იატაკზე ან საწოლზე, გადააფარეთ ფეხებზე და ჰკითხეთ: „სად არის შენი ფეხები?“ ეცადეთ, რომ მან თვითონ გადაიძროს გადასაფარებელი და გაჩვენოთ თავისი ფეხები: „უიიი, აქ ყოფილა შენი ფეხები“. კვლავ გაიმეორეთ ეს თამაში.

ბურთის დაჭერა

ეთამაშეთ ბავშვს პატარა რბილი ბურთით (ასეთი ბურთი შეგიძლიათ დაამზადოთ ერთმანეთში ჩადებული წინდებისგან). სავარაუდოდ ის ბურთის დაჭერას ვერ შეძლებს, თუმცა შეეცდება ისროლოს ბურთი და წავიდეს მისკენ.

დახვევა

აიღეთ დიდი კალათი ან ყუთი და შიგ ჩააწყვეთ ძველი გაზეთები. მიეცით საშუალება, დახიოს ფურცლები. თუ ბავშვი პირში იღებს ქაღალდებს, მაშინ დროებით შეინახეთ ეს ყუთი და სცადეთ იგივე რამდენიმე კვირის შემდეგ.

ჯოხები და ქვები

გაისეირნეთ გარეთ. ააკრეფინეთ თქვენს პატარას სხვადასხვა საგნები, ქვები, ფოთლები და პატარა ტოტები მიწიდან. ჩაალაგეთ ისინი ჩანთაში ან ვედროში. ისაუბრეთ მათ ზომასა და ფერზე: „ნახე, რა ლამაზი დიდი ფოთლია“.

ქილის გახსნა

ჩაყარეთ ბურღულის მარცვლები პლასტმასის ჭურჭელში, რომელსაც თავსახური ეხრახნება. დაახურეთ თავსახური მსუბუქად. მიეცით თქვენს პატარას, რომ მოხადოს თავსახური და მარცვლები ამოიღოს. თავიდან შეიძლება მას ამის ჩვენება დასჭირდეს. მოგვიანებით კი ამას დამოუკიდებლად გააკეთებს.

ძილის წინ წაკითხვა

ძილისთვის მოსამზადებლად საუკეთესო საშუალებაა ჩახუტება და წიგნის წაკითხვა. ბავშვმა თვითონ აირჩიოს წიგნი, მიეხმარეთ გვერდების გადაფურცლაში. ესაუბრეთ წიგნში არსებული სურათების შესახებ და სთხოვეთ თითოთ გაჩვენოთ, რასაც უყურებს. ისიამოვნეთ ამ განსაკუთრებული პერიოდით.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პრობლემის გადაჭრა

თქვენ ბავშვი უკვე ხვდება თუ როგორ მუშაობენ სხვადასხვა ნივთები, ცდილობს ნაწილებად დაშალოს ისინი და ამოაცალოს ნაწილები. იცის როგორ მოძებნოს საბნის ქვეშ დამალული ნივთები. მოსწონს წიგნში სურათების დათვალიერება და უყვარს როდესაც თქვენ ამ სურათებს ასახელებთ. სავარაუდოდ უკვე იცის სიტყვა „არა“.

რიტმი

მიეცით კოფზები, რომ მაგიდაზე ან ქვაბზე აკაკუნოს. ერთმანეთზე აკაკუნეთ კუბები ან ჯოხები. იმღერეთ და წაუცეკვეთ კიდეც. ისიამოვნეთ ამ რიტმული ხმებით!

ყელსახვევით თამაში

ფერადი ყელსახვევი დაგრიხეთ და ჩატენეთ რაიმე მილში ისე, რომ ერთი ბოლო გარეთ დატოვოთ. (მილად შეიძლება გამოიყენებთ მუყაოს ცილინდრი, რომელზეც სამზარეულოს ან ტუალეტის ქაღალდია დახვეული.) მიეცით ბავშვს ყელსახვევის თავისუფალი ბოლო, რომ გამოქაჩოს და ამოიღოს მილიდან. დააკვირდით, შეძლებს ამ ყელსახვევის მილში უკან ჩატენვას.

მოუსმინე და მოძებნე

ბალიშის ან საბნის ქვეშ დამალეთ მოწიკწიკე საათი ან რაიმე სათამაშო, რომელიც ხმას გამოსცემს. მიაქცევინეთ ყურადღება ბავშვს ამ ხმაზე, რომ იპოვოს: „გესმის? გაიგე? სად არის? აბა მოძებნე?“

მესამე სათამაშო

როდესაც ბავშვს ორივე ხელში რაიმე ნივთი ან სათამაშო უჭირავს, გაუწოდეთ მესამე სათამაშო და დააკვირდით, რას მოიმოქმედებს, მოიხერხებს თუ არა მესამე ნივთის დაჭერასაც. თუ ამის გაკეთება ვერ შეძლო, მაშინ მოგვიანებით, რამდენიმე კვირის შემდეგ სცადეთ.

შიგნით და გარეთ

ბურღულის მარცვალი ჩააგდეთ პლასტმასის ჯამში ან ბოთლში. როდესაც ბავშვი ცდილობს ბურღულის მარცვლის ამოღებას, ამ პროცესში ის სწავლობს ისეთი ცნებების მნიშვნელობას, როგორცაა „შიგნით“, „გარეთ“. ამ ცნებების სწავლებისთვის თქვენ ასევე გამოგადგებათ დიდი ყუთი, სადაც ბავშვს ჩასვამთ და საიდანაც თვითონ ამოხობდება და ისევ ჩაძვრება.

სიცილი (11 თვიდან)

თქვენს ბავშვს უყალიბდება იუმორის გრძნობა. გააკეთეთ რაიმე სასაცილო, თითქოს ბავშვის წინდის ჩაცმას ცდილობთ ან შარვალი დაიდეთ თავზე. მან ამ დროს ხმამაღლა უნდა გაიცინოს. სასაცილო დედიკო! მხიარული მამიკო!

ჭიქის აწევა

ჭიქა და პატარა სათამაშო დააწყვეთ ბავშვის წინ, მაგიდაზე. პატარა სათამაშო დამალეთ ჭიქის ქვეშ და ჰკითხეთ ბავშვს: „სად არის სათამაშო?“ თუ ვერ მოძებნა, ასწიეთ ჭიქა, დაანახეთ სათამაშო და უთხარით: „შენ ის იპოვე“. გაიმეორეთ რამდენჯერმე. მალე ის თვითონ აწევს ჭიქას და მოძებნის სათამაშოს. მოგვიანებით თამაშში დაამატეთ მეორე ჭიქაც და ნახეთ შეძლებს რომ დაიმახსოვროს, რომელ ჭიქაშია დამალული სათამაშო.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პიროვნულ-სოციალური

თქვენ ბავშვს არ მოსწონს უცხო ადამიანებთან და უყვარს მხოლოდ თქვენთან ერთად ყოფნა. ის სიამოვნებით სწავლობს გარემოს, მაგრამ უსაფრთხოებისთვის სჭირდება თქვენი მეთვალყურეობა. კარგად იცის რა მოსწონს და რა არა. გამოხატავს სიყვარულს თქვენს მიმართ და გამორჩეულად მოსწონს რომელიმე სათამაშო. შეუძლია მოგეხმაროთ ჩაცმაში - ფეხი გამოგიწიოთ წინდის ჩასაცმის დროს, ხელი გაუყაროს სახელოში, თუმცა ჯერ დამოუკიდებლად ჩაცმა არ შეუძლია.

ბანაობის დროს დამხმარე

ბანაობის დროს თქვენი პატარა წახალისეთ, რომ თვითონ დაიბანოს. ჩაცმაშიც მიაღებინეთ მონაწილეობა, თვითონ გაუყაროს ხელი მაისურში. იყავით მომთმენი, თვითმოვლის უნარების დასწავლა დიდ დროს და ვარჯიშს მოითხოვს. ხშირად შეაქეთ: “რა კარგად გამოგივიდა.”

მიბაძვა

თქვენს პატარას მოსწონს მიბაძვა. მიბაძვის წახალისების მიზნით ასწავლეთ თუ როგორ დაიცვას რიგი და გაიმეოროს თქვენს შემდეგ. მაგალითად, დაარტყით ხელი მაგიდაზე ან დაიხურეთ ქუდი და თან გაახმოვანეთ, რას აკეთებთ. შემდეგ უთხარით: “ახლა შენი ჯერია“ და დააცადეთ, რომ გაიმეოროს. შემდეგ ჯერზე ის იყოს ლიდერი და თქვენ გაიმეორეთ მისი მოქმედება.

წვეულების დრო

შეიძლება თქვენს ბავშვს უფროსი ბავშვების თამაშის ყურება მოსწონდეს, განსაკუთრებით თუ უფროსი და ან ძმა ჰყავს. თუ მეზობლად მისი ასაკის ბავშვები არიან, მას მათთან თამაშში მოეწონება. თავიდან ისინი მხოლოდ ერთმანეთის ყურებით დაკავდებიან, მოგვიანებით კი შეეცდებიან რაიმე ერთად ითამაშონ.

პატარა დამხმარე

თქვენს პატარას მიეცით სველი ღრუბელი და „გააწმენდინეთ“ მაგიდა, სკამები, იატაკი, კედელი და კარები, რასაც მისწვდება. მას ესიამოვნება ამის კეთება, სანამ თქვენ დაკავებული ხართ, ჭურჭელს რეცხავთ ან სადილს ამზადებთ. ბავშვი რეალურად არ წმენდს, მაგრამ კმაყოფილი დარჩება, რომ საქმეს აკეთებს. აუცილებლად უთხარით: “მადლობა, რომ დედას (მამას) ეხმარები“.

ჭამის დრო

ბავშვს მოეწონება დამოუკიდებლად ჭამა. მიეცით საშუალება აირჩიოს - კრეკერი, ხილის ნაჭრები ან ბურღული. მას ასევე მოეწონება ჩვეულებრივი ჭიქიდან დაღვევა, თუნდაც არ გამოუვიდეს და დასჭირდეს დახმარება.

სარკვევ, სარკვევ...

გამოიყენეთ ყველა შანსი, რომ ხანდახან ჩაახედოთ ბავშვი სარკეში და უთხრათ, რა დიდი გოგო გაიზარდა. ამ დროს მიიღეთ სასაცილო სახე.

გაგორდა და გამოგორდა

იატაკზე ჯდომის დროს, გაუგორეთ პატარა ბურთი და სთხოვეთ თვითონაც გამოგიგოროთ. გაიმეორეთ რამდენიმეჯერ. მოგვიანებით უფრო სწრაფად სცადეთ იგივე. უფრო სახალისო იქნება თუ ამ თამაშს ითამაშებს თავის უფროს ძმასთან ან დასთან ერთად.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.